№ 147

შაბათი, 11 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 147

შაბათი, 11 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა № ...

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## მსურს იჯარით ავიღო სახლი ქ. ტფილისში

ერთისა ანუ რამდენისამე წლით

იჯარით სახლის გაცემის მსურველმა მიაკითხოს „ივერიის" რედაქციას. (5—უ.—3)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც-კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე. . . . . | 1—„ |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . | „—10 |
| ზნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | „—20 |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი . . . . . | „—70 |
| იგივე II ტომი. . . . . | „—60 |
| იგივე III ტომი . . . . | „—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნათ) | „—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა. . . . . . | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტ. | „—60 |
| „ „ იგივე II ტ. | „—60 |
| თხზ. რ. ერისთავისა I ტ. | „—60 |
| არაკები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუე მისივე . . | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . . | „—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | „—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . . . . | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| ბალავარი . . . . . . | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . | „—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . | „—10 |

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ტყავთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე"-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—5)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ უყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567. (50—80—46).

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა კორნეტობა—ტვერის დრაგუნთა მე-43 რაზმის ესტანდარტ-იუნკერს თულაშვილს.

## ახალი ამბავი

⁂ დღეს, შაბათს, 11 ქათათვეს, რკინის გზის სადგურ გომში, გორის მემამულეთა ამხანაგობის სადგომში გამართული იქმნება კნ. მაკინე ამირაჯიბის თაოსნობით ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ ავქ. ცაგარლის პიესას „ხანუმა"-ს. მონაწილეობას იღებენ ქართულის სცენის ზოგიერთი არტისტები და აგრეთვე სცენის მოყვარენი. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენისა გადადებულია ტფილისში დასაარსებლად განზრახულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. ეს წარმოდგენა უნდა გამართულიყო 28 ივნისს, მაგრამ იმ დღეს ვერ შესდგა და დღეს იქნება დადგმული. იმედია, ახლო-მახლო სოფლად მცხოვრები ქართველობა თანაგრძნობით მიეგებება ამ წარმოდგენას.

⁂ დღეს, 11 ივლისს, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი სხვადასხვა საქმეებისა გამო გაემგზავრება გორში.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ერმოლოვმა კავკასიაში მთელის რუსეთის მეფუტკრეთა განზრახულ კრების თავმჯდომარედ დაამტკიცა პროფესორი ს. პ. გლაზენაპი და საქმის მწარმოებლად ბ-ნი შავროვი. ბ-ნს გლაზენაპს ტფილისში მოელიან მომავალს თვეში.

⁂ საერო განათლების სამინისტროს მოხელეთ უკვე ჩაიბარეს ტფი-

## ფელეტონი

### კულტურის ძლიერება *)

ფინლანდიაში სასოფლო-სამეურნეო განვითარებისათვის სცდილობს თვით საზოგადოება და კერძო კაცნი, და ერი ამათი მადლიერი უნდა იყოს, რომ მეურნეობამ ასე შესამჩნევად წაიწია. მთავრობა მხოლოდ ეხმარება საზოგადოებასა და კერძო კაცებს, ეხმარება ფულით და დიდის ყურადღებით ეპყრობა იმათს ყოველგვარს თხოვნას. თვით შრომა და ჯაფა-კი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის აწევს თვით მამულის პატრონებს. სიმართლეს ძლიერ დავშორდებით, თუ ვიტყვით, რომ მთავრობის დაწესებულებანი მხოლოდ მეურნეთა სურვილს ასრულებენ. სხვადასხვა საზოგადოება, ამხანაგობა, სააქციონერო საზოგადოება, სამეურნეო ბანკები, საჯარო ლექციები—ყოველივე ეს კერძო კაცთა ხელშია, რომელთა წყალობით ფინლანდიის მეურნეობა წარმატების გზას დაადგა.

საკმარისია მოვახსენოთ მკითხველს, რომ კერძო კაცთა თაოსნობით ფინლანდიაში დაარსდა 100-მდე საქსოვი სკოლა და თვით ქსოვნა ხომ აქ ძლიერ არის გავრცელებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფინლანდიაში უპირველესი ყურადღებაა მიქცეული სოფლის მემამულეთა და საზოგადოდ ერის ინტერესებისათვის. მრავალი საშუალება და დაწესებულებაა აქ სოფლის მეურნეს დასახმარებლად. სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებელთა უმრავლესობა მდაბიო ხალხისათვის არის გამართული. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანიც ამავე ხალხისათვის არსდება; სამელორაციო კრედიტი თვით სოფლის საზოგადოებათა ხელშია და სხვ.

არ არის დარჩენილი აქ უყურადღებოდ არც დედაკაცის სწავლა-განათლების საქმე, ვინაიდგან დედაკაცს შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეს და მასთან ერთად ჩაებას შრომის უღელში. არა თუ დედათა სქესის ყმაწვილები სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო დაბალს სკოლებში, არამედ დედაკაცნი მრავლად არიან აგრეთვე მუსტიალის სამეურნეო ინსტიტუტშიაც. საზოგადოდ ფინლანდიელს დედაკაცს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის განვითარებაში — ზოგან დედაკაცი ეხმარება თავისს მეუღლეს, ზოგან მამულის საქმეს განაგებს და თუ ვაჟკაცი სხვაგან არის წასული ფულის მოსაგებად, დედაკაცი ყოველს იმის საქმეს აკეთებს სახლში, განსაკუთრებით ბევრსა ჰშრომობს. აქაურმა დედაკაცმა ძლიერ წინ წასწია წველა-ღლვების საქმე, რომელიც ფინლანდიაში მშვენივრად არის მოწყობილი და რომელიც მოგებით ხვნა-თესვასაც-კი არ ჩამოუვარდება. ქსოვა-ქარგვის საქმე ხომ მარტოდ მარტო დედაკაცის წყალობით გავრცელდა აქ და გაძლიერდა.

ფინლანდიის ყველა მცხოვრები შრომაში და საზოგადოების სამსახურში ატარებს დროს და თვით მთავრობა მარტო ერთის წოდების კეთილდღეობისათვის არა ზრუნავს. ამიტომ ფინლანდიაში საოცარი სისწრაფით განხორციელდება ხოლმე ესა თუ ის აზრი ან იდეა, რომელიც სასარგებლოდ მიაჩნიათ თავის დროსა და პირობების მიხედვით, დაიბადა, მაგალითად აზრი, რომ საჭიროა და სასარგებლო დედაკაცმა ქსოვა-ქარგვა ისწავლოს ახალის მანქანების შემწეობით და 3—5 წლის განმავლობაში სიტყვა საქმედ იქცა და ამ ჟამად ფინლანდიაში დედაკაცს ვერა ჰნახავთ, რომ მანქანის შემწეობით ქსოვა-ქარგვა არ იცოდეს.

მიიჩნიეს საჭიროდ და სასარგებლოდ წველა-ღლვების საქმის განვითარება და იმ წამსვე მიჰმართეს ყოველგვარ საშუალებას, დააარსეს შესაფერი სკოლები, დანიშნეს მოხელეინსტრუქტორები, შესცვალეს ჯიში საქონლისა, შემოიღეს ახალი წესრიგი რძისა, კარაქის, ერბოს და ყველის გადატან-გადმოტანისა და ამ გვარად მომზადდა ნიადაგი, რომლის წყალობით დღეს ფინლანდია ძლიერ დიდს მონაწილეობას იღებს მსოფლიო ვაჭრობაში და სხვ. და სხვ.

ფინლანდიელი დაჟინებით ეძებს მეურნეობისა და საზოგადო ცხოვრების უკეთესს პირობებს და რაკი გადასწყვიტა, რომ ესა თუ ის პირობა საჭირო და სასარგებლოა, სიტყვას იმ წამსვე საქმედ აქცევს. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ფინლანდიის სასოფლო-მეურნეობამ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში საკმაო განვითარებას მიაღწია, თუმცა იმავე დროს ძლიერ დაეცა ფასი ხორბლისა, ხორცისა ერბოსი, ყველისა, მატყლისა და სხვ. ფინლანდიის სასოფლო-მეურნეობა მტკიცე გზას ადგია და ერსაც სწამს იმის საკეთილო მომავალი.

თანდათან დააშრეს ფინლანდიელთ ჭაობები და ტბები და ეს უსარგებლო და გამოუსადეგარი ადგილები გადააქციეს მშვენიერ მინდორ-ველებად. ამ ჟამად საერთოდ მინდორველის სივრცე შეადგენს 17,908 გექტარს. კაცის მხნეობისა და შრომის წყალობით ფინლანდიაში 1890 წელს ერთი ორად მეტი შეიქმნა სივრცე სახნავ-სათეს ადგილებისა, ვიდრე 1813 წელს იყო. რუსეთში თანდათან აკლდება ნახნულ-ნათეს მიწების სივრცეს, ფინლანდიაში-კი თანდათან უფრო მეტი პური მოდის. 1861—65 წლ. ქვავი მოვიდა 2.989.385 გექტარი, 1886—90 წლ.—4.505,473 გექტარი; იმავე დროს შვრიის მოსავალმა იმატა 1.499.033 გექტარიდგან 2.141.216 მდე. ასეთივეა სხვა ხორბლეულობის მოსავალიც. ესეც ცოტაა. 60 წლებში დიდი სიცივეები იყო ფინლანდიაში, რომელმაც 100.000 კაცამდე იმსხვერპლა. ფინლანდიელნი დარწმუნდნენ, რომ მარტო ხვნა-თესვა ვერ გვაცხოვრებსო და მომეტებული ყურადღება მიაქციეს წველა-ღლვებასა და ხე-ტყის ვაჭრობას. 1884 წელს ვაზას გუბერნიაში ერთი სადღვებავი ქარხანა იყო ორთქლის სეპარატორებით, 1890 წელს-კი, ე. ი. სულ 6 წლის შემდეგ ასეთი ქარხანა იყო 101. ნალების მო-

*) იხ. „ივერია", № 136.

ლისის გუბერნიის გაუმჯობესებული სომხთა სასწავლებლის ქონება. ჩასახარებელი მხოლოდ ტფილისის სასწავლებლების ქონება.

*** რადგანაც მთავარ-მართებლის თანაშემწის გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს განკარგულება იმის შესახებ, რომ ტფილის ბეჭედი ახსნან და გაყიდვის ნება მისცენ, სისრულეში არ იქმნა მოყვანილი, მეტიველი ვექილმა ი. ს. ჯაბადარმა დაბეზღით ისევ მიმართა მთავარ-მართებლის თანაშემწეს, რომლისაგანაც გუშინ სადამოს 5 საათზედ, მეორე ბრძანება მოვიდა იმის შესახებ, რომ მეტიველებს სრული ნება და თავისუფლება მისცენ ტფილის-ბის მოტანისა და გაყიდვისა.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წინადადება მისცა ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის გამგეს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ მეცადინეობა, რადგან სასწავლებლის ჩარდახში გაჩენილ მცირე ცეცხლს ისეთი ზარალი არ მოუცია, რომ სასწავლო მეცადინეობა შეჩერებულ იქმნას.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამ საზოგადოების წევრთ მოხსენება წარუდგინეს, რომ რადგან საბაღოსნო სასწავლებელს ვიღამაც ცეცხლი წაუკიდა და ხეები დაამტვრია, რის გამოც საპედაგოგიო საბჭომ გამორიცხა 10 მოსწავლე და საზოგადოების ერთმა წევრმა ეს მოსწავლენი გადასცა პოლიციას, რომელმაც ჩვენების ჩამოსართმევად ცალ-ცალკე დააპატიმრა და დამნაშავედ არავინ იცნო ჯეროვანის გამოძიება-გამოკვლევის შემდეგ, ამიტომ გთხოვთ დაჰნიშნოთ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რადგან საპედაგოგიო საბჭომ და საზოგადოების წევრმა მხოლოდ თავისს უფლებით მოახდინეს ზემოხსენებული განკარგულება და არ დაეკითხნენ საზოგადოების საბჭოსა და წევრთა საერთო კრებას, რომელმაც ჯეროვნად უნდა გამოარკვიოს ამ საქმის ყოველივე ვითარება.

*** ქუთაისის გიმნაზიის შტატს გარეშე მასწავლებელი ს. ვ. ჯორჯაძე შუამდგომლობს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ ნება მიეცით ვაჟთა კლასიკური პროგიმნაზია დავაარსო ქუთაისში, რადგან ერთად ერთი გიმნაზია ვერ აკმაყოფილებს სწავლის მსურველთ და მრავალი უარს ბრუნდება გიმნაზიაში ადგილის უქონლობის გამო, სახელდობრ 1892 წლიდგან მოკიდებული მუდამ წელს 120—150 ვაჟი ბრუნდება უკანვე.

*** შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ სოხუმში გამართულ იქმნას ნავთ-სადგური და რკინის გზა იქმნას გაყვანილი ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზებთან შესაერთებლადაო.

*** სახელოსნო გამგეობის მოხელეთა სახიერისა გამო ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ხელოსნებთა მოურავს,—შემატყობინე, რა მიზეზით არ ეძლევათ ჯამაგირები მოხელეებსაო.

*** 7 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლომ, მოისმინა რა თხოვნა სამსახურს გარეშე მყოფის პორუჩიკის მიხეილ პავლეს ძის მეფისაშვილისა, რომელიც სამართალში იქმნა მიცემული იმის გამო, რომ თავის ძმის ივანე მეფისაშვილის მოსაკვლელად კაცებს აქეზებდაო, დაადგინა: გაანთავისუფლოს დაპატიმრებისაგან მეფისაშვილი, როდესაც იგი საიმედო თავდებს წარადგენს, რომელმაც 5000 მანეთის პასუხის-მგებლობა უნდა იკისროს.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ტფილისის საბაღოსნო სკოლის 10 მოსწავლე, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს სკოლის ერთ-ერთს შენობას ცეცხლი წაუკიდესო, ქალაქიდგან სოფლად გაუგზავნიათ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ ქუთაისიდგან სწერენ, რომ 5 ივლისს ადგილობრივ სავაჭრო სასწავლებლის სადღომში კრება ჰქონდათ ქუთაისის გუბერნიის სოფლის მასწავლებლებს. ამ კრებას დასწრებია სულ 70 კაცი. კრებას განუხილავს შარშან ამორჩეულის კომისიის მიერ შედგენილი „ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთ-დამხმარებელი საზოგადოების“ წესდების პროექტი. როგორც ამ პროექტიდგანა სჩანს, მომავალ საზოგადოებას აზრად ექნება დახმარება აღმოუჩინოს კერძო და სახელმწიფო სასწავლებლებისა, სოფლის ორ-კლასიან და ერთ კლასიანისა, ქალაქების სამეურნეო-სამრეწველო სკოლებისა, მოსამზადებელ სამონასტრო სკოლების და სხვათა მასწავლებელთ და მოსწავლეთ. საზოგადოებას შეძლება აგრეთვე გამართოს საპედაგოგიო კურსები, დაარსოს წიგნთსაცავნი და სხვ. კრებას, დაწვრილებით განხილვის შემდეგ, მოუწონებია პროექტი და ამოურჩევია სამის კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიუნდვია შუამდგომლობა წესდების დამტკიცების შესახებ.

*** სოფ. ხურვალეთი. სოფ. ხურვალეთი გახლავთ თავის ფართო მინდვრით ტირიფონით, მთით ერთი საუკეთესო მამულიანი სოფელი მთელს გორის მაზრაში. ხურვალეთის ქერი საუკეთესოა ლუდისა და ყავისათვის. თივა ხომ სანაქებოა და პურს თქმა არ უნდა. მართალია, თვით სოფელი არ არის დიდი, თუ არა ვცდებით, არ აღემატება სამოცოთხმოც კომლს გლეხს და ათიოდე კომლს აზნაურიშვილს, მაგრამ ახლო-მახლო პატარ-პატარა სოფლები ერთმანეთზეა დაახლოვებული, ასე რომ ორთა შუა რიცხვით სამას კომლამდის იქნება. გლეხს თუ საკუთარი არა აქვს, სალალოდ ბევრს იშოვნის. მამული ჩინებულია, მაგრამ არ არის წყალი და იმიტომ მოკლებულია ვენახებს, ხეხილს ბაღებს. არა ერთხელ წავკითხავს, ტერიტორიაში რუ გაჰყავთ, წყალი უნდა გაიყვანონო, და ჯერაც ეს სამადლო საქმე აღსრულებაში ვერ მოუყვანიათ. ან-კი ვის ახსოვს?!. რა ჰქნას კარგმა მამულმა, უვიცის ხალხის შრომამ, თუ-კი იგი მოკლულია გარემოებით?! აქაურ კეთილ-შობილთა უსაგნო აურ-ზაურმა, შურმა, მტრობამ და ქიშპობამ საჭირ-ბოროტოდ გახადეს მამულის შემოწავლება, წარმატებაც და ლამის იმასაც თვით დაანებონ, რაც აქვთ, არა თუ გაუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა, შეიძინონ რამე!..

*** 10 ივნისს შორაპნის მაზრიდამ, ქუთაისის გზის 25 ვერსზედ, [illegible] გზის [illegible] კრიმინალური [illegible] ზემო და [illegible] ღამე [illegible].

*** გუშინ წინ, ნაშუადღევს 4 საათზედ, ტფილისის სადგურზე კონდუქტორმა [illegible] ტრანზიტული [illegible].

*** ამ დღეებში სასიარე ქუჩაზედ, ნიკო გალუსტოვის სახლში, შემდეგი ამბავი მოხდა. გალუსტოვთან სტუმრად მივიდა ტფილისის მცხოვრებელი ცოლი ბარბარე საინოვისა და ღამის გასათევად იმათთან დარჩა. მეორე დღეს გალუსტოვთან მოვიდა საინოვის ქმარი თავისს ნათესავთან ერთად. გალუსტოვს ეგონა, რომ ქმარი ცოლთან მოსალაპარაკებლად მოვიდაო და საინოვის ქმრის თხოვნით მეორე ოთახში გავიდა. უცებ კივილი მოესმა, უკანვე დაბრუნდა და დაინახა, რომ ქმარი ცოლს კალმის დანასა სცემდა სახეში. ყვირილზედ მეზობლებმაც მოიყარეს თავი და რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანეს გარეთ დაჭრილი. პოლიციამ დამნაშავე დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

## წერილი გორიდგან

7 ივლისი.

ჩვენს კურთხეულს გორს ერთად-ერთი სულის მოსაბრუნებელი დაწესებულება აქვს და ამასაც ლამის უდრო-უჟამოდ ბოლო მოეღოს. მე მოგახსენებთ გორის კლუბის შესახებ, რომელსაც მუდამ წლივ წევრთა რიცხვი აკლდება. მიზეზიც ამ გარემოებისა ის გახლავთ, რომ ზოგიერთებს ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება მოჰბეზრდათ, ბანქოს თამაშობაშიაც ვერ იხეირეს და საკრებულოს გამოემშვიდობნენ. ეს დალოცვილი მამასახლისებიც საკრებულოს საქმეს გულ-გრილად ეკიდებიან. წინად მამასახლისები საქმეს უფრო ერთგულად ექცეოდნენ, მათი ეკონომიური სიფრთხილე საკრებულოს ორას თუმნობით უნახავდა. დღეს-კი საბრალო კლუბის არსებობა სახრინავზეა მიმდგარი. სულხან ალამაც სახლები ყაზარმად გააქირავა და საკრებულოც იძულებული გაჰხადა თავისის ბარგი-ბარხანით სხვა შენობაში გადასულიყო, სადაც დიდს ვიწროობას იტანს. ამ გარემოებამ ბევრს წევრს აუცრუა გული საკრებულოზედ. მამასახლისებს რომ შესაფერი სახლი დაექირავებინათ, რასაკვირველია, ბუტია წევრები გულს მოიბრუნებდნენ და კლუბის არსებობა საიმედო იქნებოდა. მაგრამ არ იქნა, ჩვენმა კლუბის მამასახლისებმა ამ ერთს წელიწადში ჩხირკედელაობის მეტი ვერა გამონახეს-რა.

ქალაქის მოურავის არჩევანები მოახლოვდა და ბევრს გაეხსნა მადა ქალაქის ღარიბ კასას დაუახლოვდნენ როგორმე. მიზეზიც ამ მადისა გახლავთ ბ-ნი გულიშამბაროვის პირადი ღირსება და საზოგადო საქმის ერთგულება. აბა რაღა თქმა უნდა, ეს თვისებანი ბ-ნ მოურავისა გამგეობის საქმეებში აღინიშნება და, როგორც სახელმძღვანელო მაგალითი შემდეგის მოადგილეებისათვის, სათვალ-ჩინო ადგილს დაიჭერს. ასე გასინჯეთ, ისეთებიც-კი სცდილობენ გამგეობაში პირველის ადგილის შოვნას, რომელნიც უსუსურობით არ ჩამორჩებიან ბ-ნ ისაიას და მის თანაშემწე ნიკოლოზას. ჯერ-ჯერობით საზოგადოების ყურადღება ბ-ნ ივ. კანჩელისაკენ არის მიპყრობილი. ღმერთმა ჰქნას გორელების აზრი მტკიცე და შეუცვლელი

სახდელი ქარხანა 1887 წელს იყო 7, და 1890 წელს-64; სულ ერთის წლის განმავლობაში, 1889 წლიდგან 1890 წლამდე 9 სარძეო, ხელით სატრიალებელ სეპარატორებით, გადაიქცა 58-ად. ულეაბორგის გუბერნიაში 1889 წელს 96 სარძევე იყო და 1893 წელს—485 და სხვ. რუსეთში საქონელს თან და თან აკლდება და ფინლანდიაში-კი ემატება. 1865 წელს ფინლანდიაში იყო 670,000 ძროხა, 1893 წელს გახდა 949.000. 1865 წელს იყო 65.000 ხარი, 1893 წელს გახდა 74000; 1865 წელს იყო 218.000 ხბო, 1893 წელს-კი 282.000. ამავე დროს ჯიშიც კი უკეთესი შეიქმნა საქონლისა. ფინლანდია ერთი ორად უფრო მდიდარია ამ ჟამად საქონლით რუსეთზე.

ასევე წინ წაიწია ფინლანდიამ ხეტყის ვაჭრობის საქმეში. მთელის ფინლანდიის 57 პროცენტი ტყეს უჭირავს. ამ ბოლოდრომდე ფინლანდიას ტყიდგან ძლიერ ცოტა შემოსავალი ჰქონდა. 1881 წელს ფინლანდიაში 250 სახერხი ქარხანა იყო და 1892 წელს-კი 376. ეს გარემოება დაეხმარა ფინლანდიას და ამიტომ გახლავთ, რომ ხე-ტყის ვაჭრობაში ამ პაწია სახელმწიფოს მეხუთე ადგილი უჭირავს ევროპის სახელმწიფოთა შორის.

ფინლანდიაშივე ძლიერდება სხვა გვარი მრეწველობაც—ბაღოსნობა, თევზის ჭერა, თივის ვაჭრობა და სხვ.

რაღა თქმა უნდა, ფინლანდიის მრეწველობა და ვაჭრობა ასე ვერ წაიწევდა წინ, რომ იმავე დროს რკინის გზები არ გაემართათ. ამ მხრივ ფინლანდიას დიდი შრომა მიუძღვის. 1862 წელს ფინლანდიის რკინის გზების ლიანდაგების საერთო სიგრძე იყო 106,8 კილომეტრი, 1880 წელს—884,9 კილომ. და 1893 წელს—2,131 კილომ. ფინლანდიაში 13 წლის განმავლობაში რკინის გზების ლიანდაგების საერთო სიგრძემ იმატა 140 პროცენტით (1889 წლიდგან 1893 წლამდე). რუსეთში-კი ამავე დროს განმავლობაში (1882 1895)—70 პროცენტით.

უფრო მეტი უნარი გამოიჩინა ფინლანდიამ არხების გაყვანისა და სავაჭრო გემების კეთებაში. ამ ჟამად სავაჭრო ფლოტს წარმოადგენს 1,839 გემი, რომელიც 254,152 ტონნის საქონელს იტევს.

უფრო ცხადადა სჩანს ფინლანდიის ეკონომიური გაძლიერება ვაჭრობის ანგარიშიდგან. 1857 წელს შემოსავალი ჰქონდა 63 მილიონი ფინ. მარკა, 1894 წელს-კი—274,7 მილ. მარკა, ხოლო უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში შემოსავალმა ერთი ორად იმატა, 175,7 მილ. მარკიდგან 274.7 მილ. მარკამდე. გატანილ საქონლის რაოდენობამ-კი 1857 წლიდგან 1894 წლამდე ერთი ათად იმატა (16,5 მილ. მარკიდგან 136 მილ. მარკამდე). რუსეთიდგან გატანილ და აქვე შემოტანილ საქონლის ფასი სულზე მოდის 6 მანათი ოქროთი, ხოლო ფინლანდიაში-კი—24 მანათი ოქროთი.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ მთელის ერის მეჯლისს არც მუშა კაცი მოაკლდა. ყოველგვარ სურსათის გაიაფებასთან ერთად რუსეთში თანდათან იკლო მუშა კაცის ფასმა, ფინლანდიაში-კი მუშა კაცის ფასმა თანდათან იმატა. 1881 წელს ფინლანდიაში მუშა კაცის ჯამაგირი იყო, (სმა ჭამის გარდა) 161 მარკა, 1890 წელს-კი 172 მარკამდე აიწია. ამის მიხედვით აიწია აგრედვე დღიურმა ფასმაც (ზაფხულში) 1,24 მარკიდგან 1,37 მარკამდე, ანუ 10—12 პროცენტით მეტია, ვიდრე რუსეთის საუკეთესო ადგილებში.

ფინლანდიის კეთილ-დღეობის ნიშანია აგრეთვე, რომ მცხოვრებთა რიცხვი თანდათან მატულობს, წელიწადში 1,13 პროცენტით.

ფინლანდიის ეკონომიურს განვითარებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ქვეყნის პროგრესს თითქოს თვით ბუნება ეწინააღმდეგებაო. 57 პროცენტი ტყეა, 11 პროცენტი ჭაობიანი და 20 პროცენტი გამოუსადეგარი ადგილია. მიწა ვალუნებით არის დაფარული და თითო მტკაველი გამოსადეგი ადგილი შედეგია დიდის ჯაფისა და შრომისა. ჰავა ნესტიანია და ცივი, მოსავალს ავნებს და ამიტომ არის, რომ აქ მხოლოდ ზოგი ერთი ხორბლეულობა და მცენარეობა მოჰყავთ. მხოლოდ კულტურის ძლიერებას შეეძლო მიენიჭებინა ამ ქვეყნებისათვის სიმდიდრე და განვითარება გონებისა და საზოგადო წეს-წყობილებისა. რამდენად სწამს ფინლანდიელს თვისი ძალ-ღონე, შემდეგის სიტყვებიდგან სჩანს, რომელიც იმავე წიგნშია მოყვანილი, რის გამოც ეხლა გვაქვს საუბარი. თუმცა აქ ძლიერ ბევრია ჭაობები და მავნებელიც არის პურის მოსავალისათვის, რადგანაც ამ ჭაობების წყალობით ზოგჯერ სიცივე ერთს ღამეში წაახდენს ხოლმე მოსავალსა, მაგრამ ამ წიგნის ავტორი ამბობს: „ტბები და ჭაობები მაინც დიდს სიმდიდრეს შეადგენს ჩვენთვის, იქმნება სასოფლო მეურნეობისათვის ეს საუკეთესო საჩუქარი იყო“ და ამ აზრს ასაბუთებს იმითი, რომ ტბებისა და ჭაობების დაშრობა სასარგებლო და საჭიროა განსაკუთრებით შვრიის და ბალახის მოსავალისათვის, რადგანაც ტბებსა და ჭაობებში ბევრი ორგანიული ნივთიერებაა ნიადაგის გასაპოხიერებელი.

თვით კულტურას ფინლინდიისას და ხალხის მხნეობას სხვათა შორის კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ აქ ბატონ ყმობა არასოდეს არა ყოფილა, ქვეყანა პატრაა და ყველგან ერთგვარი პირობებია ბუნებისა; მცხოვრებნი ერთს ადგილას არ არიან შეკრებილნი, არამედ სცხოვრობენ პატარ-პატარა სოფლებში და ზოგან სულ ცალკე სახლებში.

ეს არის მიზეზი თუისა, ეს-კი აშკარაა, რომ ამ ჟამად ფინლანდია წინ მიჰყავს კულტურას. ფინლადიელნი ცოდნისა და საზოგადოებრივის ცხოვრების საგანგებო პირობათა მადლიერნი უნდა იყვნენ, რომელთაც ეს პაწია ქვეყანა გამდიდრებისა და განვითარების გზაზედ დააყენეს.

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდგეს, რადგანაც ბ-ნი კანჩელი, როგორც ცხოვრებაში გამოცდილი და სარისტიანი კაცი, ქალაქის საქმეებში წეს-რიგს ჩამოაგდებს და უპატრონო გორს პატრონობას გაუწევს.

ბაურა

## წერილი ხონიდგან

აგერ ხუთი წელია, რაც ხონელებმა ეკკლესიის წინ საბურთაოდ დატოვებული მინდორი ბულვარად აქციეს. ბაღი მეტად მოხდენილი და ლამაზი გამოვიდა. წელს ქვის გალავანი შემოავლეს და მალე რკინის ღობეც გაუკეთდება ზედ. მხოლოდ ამ სიმშვენიერესთან ერთი ნაკლულევანებაცა აქვს. ბაღში ერთი ფარანი არ არის. ზაფხულობით რვა საათის შემდეგ ისე ბნელა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან. ბულვარს დაარსებისათანავე რამდენიმე ფარანი (25-მდე) შემოსწირა უგან. თავ. ნ. დადიან-მინგრელსკიმ და ისინაც, რადაც მანქანებით, სადღაც მიიჩქმალა. ამბობენ, რომ ქალაქს დასჭირდა და მოიხმარაო. თუ ეს მართალია, არ შეიძლება ის ფარნები შემომწირველის სურვილის თანახმად ბულვარს დაუბრუნდეს?.. მგონი, მოვალენიც არიან ასე მოიქცნენ... თუ ამ გზით არაფერი ეშველება, სეირნობა მაინც ხომ შეიძლება გაიმართოს ბულვარში მისსავე სასარგებლოდ?.. მამანო ქალაქისანო, სად ვანისვენებთ?!.

როგორც შარშან მქონდა მოხსენებული, აქაურ ამორჩეულ კაცთ ბ-ნ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის თანხმობით დაადგინეს განაჩენი კერძო გიმნაზიის დაარსების შესახებ და ამორჩეულ კომიტეტის წევრებს დაავალეს წყაროს და საშუალების გამონახვა. უკვე წელიწადი გადის და კომიტეტის მუშაობისა არა ისმის-რა. იმედია, კომიტეტი კრებას დანიშნავს ამ ზაფხულს და ამომრჩეველთ გააცნობს თავიანთ მოღვაწეობას.

თითქმის ერთი წელი გადის, რაც ხონში იმყოფება ჩვენი დაუღალავი მშრომელი ბ-ნი ქორიძე. გალობის მსურველი აქ პირველადვე ბევრი აღმოჩნდა და საქმეც კარგად წავიდა. შემდეგ-კი ზოგიერთ ვაჟბატონების ჩაგონებით ბევრმა მიატოვა გალობა. ასე რომ მგალობელნი ეხლა ორმოცის მაგივრად ათიდგან თხუთმეტამდე ძლივს იქნება. ეხლა აქაურ სოფლის მასწავლებლებს განზრახვა აქვთ გალობა შეისწავლონ ბ-ნ ქორიძესთან და ისიც თანხმდება იმათ თხოვნაზედ. ვუსურვებთ აღედგინოს არა მარტო ქართული საეკკლესიო გალობა, არამედ ის განთქმული „ვაკის ეპისკოპოსის“ ხორო, რომელიც იზიდავდა ხონში მეფეთა და დიდებულთა...

ხუთშაბათს, 2 ივნისს, ბ-ნ ვიკ. ქუთათელაძის სახლში გამართულ იქმნა საცეკვაო საღამო წიგნთ საცავის სასარგებლოდ. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დარჩა. დიდის მადლობის ღირსნი არიან გამგეობა დახმარებისათვის, ქ. ემელია ქუთათელაძისა, რის. ქუთათელაძისა, გაგუა და ვიქ. ქუთათელაძე.

შავია—დია

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. საყულია**, (ქვემო იმერეთი, ქუთაისის მაზრა). სოფ. საყულია გაშენებულია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზედ. იგი ბუნებისაგან უხვადაა დაჯილდოვებული, მაგრამ სამაგიეროდ მკვიდრნი მოკლებულნი არიან კეთილის საქმის სიყვარულსა და ახალის ცხოვრების შეთვისების უნარს. საყულიის საზოგადოებას შეადგენს სამი მდიდარი სოფელი: საყულია, ოფშქვითი და ბაში, სადაც ათასამდე კომლი მცხოვრებია. ხუთის წლის წინად საზოგადოებამ ბ-ნ ბოქაულის თევდორაძის (აწ შეკვე განსვენებული) ჩაგონებით შეადგინა განაჩენი, რომლის ძალითაც უნდა აეგოთ სოფ. საყულიაში სასოფლო ორკლასიანი სკოლა და მალეც ასრულდებოდა ეს აზრი, მაგრამ აქაც იჩინა თავი ჩვენმა საზოგადო სენმა დას-დასობამ. შეუდგნენ თუ არა სკოლის შენობის საქმეს, ასტეხეს ზოგიერთმა ვაჟბატონებმა ჩოჩქოლი: „ჩვენს, ჩვენს სოფელში უნდა იყოს სკოლაო“. ამ ზოგიერთების ხმას მიჰყვა ბოქაულის თანაშემწე მახარაძე, რომელიც ამ საქმისთვის იყო მოსული, და შემდეგ მთელი საზოგადოებაც. შეადგინეს თავ-თავისთვის განაჩენი ერთ-კლასიან სკოლებისა, ასე, რომ ერთი სოფელი მეორეს მოშორდა, ცალკე დასკუპდა და საზოგადოება დაუძლურდა. ახლა სამივე სოფელშია სამინისტრო სკოლა, მაგრამ მარტო სახელით, თორემ ისე არც შენობა აქვთ, არც შენობისთვის ადგილი და არც მუდმივი მასწავლებელი ჰყავთ, სოფლის სიცოცხლით სავსე ბავშვებს ხწავლა სწყურიანთ, მაგრამ მარტო სკოლის ანაბანა, და ისიც „მუნჯურის მეთოდით“ მიწოდებული, რა სწავლას შესძენს ბავშვს და გონებას ახა როგორ გაუხსნის. როგორც შევიტყეთ, აქაურს ახალგაზდა სემინარიელს მღვდელს მ. ჰ. ჯინჭველაშვილს ნებართვა აუღია, ვისგანაც ჯერ არს, და საეკკლესიო სკოლას აარსებს, რისათვის ეკკლესიას ეზოში ადგილი ჰქონია თავისს გალავანში. ვუსურვებთ, რომ თვისი კეთილი განზრახვა შეასრულებინოს მკვიდრთა დახმარებით და მით სამსახური გაუწიოს საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება სხვა კეთილ დაწესებულებათ: წიგნთ-საცავს, სასოფლო ბანკს, სოფლის მაღაზიას და სხვ., აქ ყველა ეს მეტ ბარგად მიაჩნიათ. ჩვენც, როგორც ბევრგან ჩვენში, რომ დროს შესაფერი წინამძღოლნი გვყავდეს, არა მგონია, რომ ასე უკან ვიყვნეთ ჩამორჩენილნი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არა გვყავხან. ყველგან შეუდგნენ სოფლის მოხელეებად ღირსეულის კაცების არჩევას და ჩვენ-კი რადის ვეღირსებით, არ ვიცით. შემდეგში კი უნდა ვეცადოთ საზოგადოების მამობა-მამასახლისობა ღირსეულ კაცებს მივცეთ, თორემ უკეთ ჯდას უკან ჩამოვრჩებით და ბოლოს „ვაი და ვიში“ გვიან-ღა იქნება.

ს. საყულიელი

## რუსეთი

—

წლის სამხედრო-სამკურნალო აკადემიის უმაღლესს კურსებზედ ძლიერ ცოტა სტუდენტები იქმნებიან მიღებულნი. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთ აკადემიაში შესასვლელად უნდა წარადგინონ იმისი მოწმობა, რომ ყველა საგნების ეგზამენი აქვთ გარდახდილი, რადგან აკადემიაში ეგზამენის გარდახდის უფლება არავის არ მიეცემა. აკადემიის მეორე კურსზედ მიღებულ იქმნებიან აგრეთვე ის სტუდენტნი, რომელთაც საბუნების მეტყველო ფაკულტეტზედ ექმნებათ სწავლა დამთავრებული და რომელთაც სამატემატიკო კომისიისაგან პირველ ხარისხის მოწმობა ექმნებათ მიღებული.

— მთელის რუსეთის მკურნალთა მომავალ კრებაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი იქმნება აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სამკურნალო კურსები პრაქტიკანტ მკურნალების მოსამზადებლად.

— სამოსწავლო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პროვინციის კერძო სასწავლებელთ მეტი თვალ-ყური ადევნოს მთავრობამ, ვიდრე დღემდის ადევნებდაო. ამ აზრით სამოსწავლო უწყებას განზრახვა აქვს მომავალ წელს ამ სასწავლებლების მოსწავლენი გამოსცადოს ადგილობრივის სახელმწიფო ერთ-ერთ სასწავლებლის მასწავლებლის თანადასწრებით.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** კუნძულ კუბიდგან უკანასკნელად მოსული ამბები იუწყებიან, რომ ესპანელებმა ამერიკელებს მარტო ქალაქი სანტ-იაგო-კი არ დაუმორჩილეს, არამედ მთელი სანტ-იაგოს პროვინცია და შემდეგი სიმაგრეებიო: მანზანილო, სალგუინო, გუანტანამო და ბარაკოა. ყველა ქალაქის მცხოვრებს ამერიკელები ესპანიაში გაჰგზავნიან.

— სამპსონის ესკადრის გამარჯვებამ ამერიკელები დიდს აღტაცებასა დ სიხარულში მოიყვანა. დღეს მთელი შეერთებული შტატები ამ გამარჯვებას დღესასწაულობს. უზარმაზარ სახელმწიფოს ყველა ქალაქსა და სოფელში ხალხი პატრიოტულ დემონსტრაციებსა ჰმართავს. ისეთი მაღაზია არ არის, სადაც სამპსონისა და შლეის სურათი არ იყოს გამოფენილი. პრეზიდენტს მაკ-კინლეის ყოველ დღე აუარებელი მისალოცი დეპეშები მისდის. მუდამ საქმეში გართულმა ამერიკელებმა დღეს ამ გამარჯვების გამო, ყველაფერი დაივიწყეს, ასე გასინჯეთ, ვაჭრობასაც-კი თავი მიანებეს; დიდი და პატარა ქუჩა-ქუჩა დადის და იძახის „გაუმარჯოს სამპსონს! გაუმარჯოს ჯარსა“-ო.

— სამაგიეროდ ესპანელები დღითი დღე უფრო დარდსა და საგონებელს ეძლევიან. როგორც მადრიდიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, კარლისტების მეთაურებმა აუწყეს თავიანთ მომხრეებს, რომ ამ დღეებში თვით დონკარლოსი მოვა ესპანიაში და საქმეს შეუდგებაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მინისტრთა საბჭოს, რომ ვალდეორრასში უკვე გაჩნდა მთელი ბრბო კარლისტებისაო. ყველა ამას მინისტრთა კრიზისიც დაერთო. გაზეთები იუწყებიან, ყველა მინისტრებმა გამოუცხადეს მინისტრ-პრეზიდენტს საგასტას, რომ თანამდებობას თავს ვანებებთო. საგასტამ ეს ამბავი დედოფალს აცნობა. ჯერ არ იციან, როგორ გათავდება ეს კრიზისი, ეს კია, რომ ახალ სამინისტროს შედგენა ძრიელ გაჭირდება. ყველა ამას გაიძახის, რომ საგასტას სამინისტრომ საქმე წაახდინა და ეხლა ჩვენ როგორღა გამოვაკეთოთო. თუ მინისტრობას ვიკისრებთ, წინანდელს მინისტრების ცოდოში ჩვენ წილი დაგვედებაო. ასეთის შინაურის გაჭირვების მიუხედავად, მთავრობა მაინც ყოყმანობს და ამერიკასთან ზავის დადებას არ ჰფიქრობს. დეპეშამ უკვე მოიტანა ამბავი, რომ გენერალ ტორალს სამართალში უპირებენ მიცემას იმის გულისათვის, რომ მან სანტ-იაგო ამერიკელებს დაუმორჩილა. გაზეთების სიტყვით, ტორალს სხვა გზა არა ჰქონდა: ჯარი შიმშილით ეხოცებოდა, ტყვია-წამალი სრულიად შემოაკლდა და იმანაც ხალხის ტყუილ-უბრალოდ ამოჟლეტას დამორჩილდება არჩია და ეხლა ამ საქმისათვის მთავრობა მას სამართალში აძლევს! ესპანიაში ზავს ყველანი არიან მოწადინებული, მთავრობის გარდა. კონსერვატორთა ჟურნალ-გაზეთები და იმათთან ერთად რესპუბლიკანელები და სოციალისტები ყოველ-ღონესა ღონობენ, რომ მთავრობამ ქვეყნის გამათახსირებელ ომს თავი გაანებოს და ზავი მოითხოვოს. ყველაზედ ძრიელ ომის მომხრე და ზავის წინააღმდეგია კუბის გენერალ-გუბერნატორი, მარშალი ბლანკო. ბლანკო დეპეშას დეპეშაზედ ჰგზავნის ესპანიაში და ატყობინებს, ზავი საჭირო არ არის, მე აქ 100,000 ჯარის-კაცი მყავს და ამერიკელები ვერაფერს დამაკლებენო. ნამდვილად-კი ეს 100,000 ჯარის-კაცი არსადა სჩანს. ბლანკომ ამერიკელების წინააღმდეგ 20 თუ 25 ათასი ჯარის კაცის მეტი ვეღარ გამოიყვანა, ისინიც სურსათის უქონლობის გამო შიმშილით იხოცებოდნენ. მაგრამ, როგორც იუწყებიან, ბლანკოს ეხლა 100 ათასი კი არა 200 ათასი ჯარიც რომ ჰყავნდეს, მაინც ამერიკელების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს. ხალხს კვება და რჩენა უნდა, ხოლო ესპანელებს კუბაში სურსათი სრულიად გამოელიათ. ესპანიიდგან მოტანა არ შეუძლიანთ, რადგანაც კუბას ამერიკის ფლოტი არტყია და ერთს გემსაც არ მიუშვებს ახლოს, თვით კუნძული კუბა კიდევ ჯარს ვერ შეინახავს. დღემდის ესპანიამ ამერიკასთან ომში 20 სამხედრო და 21-ც სავაჭრო გემი დაჰკარგა, ეს ზარალი რამდენიმე მილიონ მანეთს აღემატება. ამავე დროს ამერიკამ მხოლოდ ერთი სავაჭრო გემი დაჰკარგა.

—

**საფრანგეთი.** გაზ. „Aurore“-ში დაბეჭდილია ემილ ზოლას წერილი აწინდელის მინისტრ-პრეზიდენტის ბრისსონის მიმართ. სხვათა შორის ამ წერილში ზოლა ამბობს: „მე ძალიან გაკვირვებული ვარ, რომ არცერთმა საპოლიტიკო მოღვაწემ მხარი არ დაუჭირა ისეთ მართალ კაცს, როგორიც დრეიფუსიაო“. ზოლა უმატებს, რომ ვიდრე დრეიფუსის საქმე საბოლოოდ არ გადაწყდება, ვერც ერთი სამინისტრო ვერ იხეირებს საფრანგეთშიო. კავენიაკის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ზოლა სასაცილო კომედიას ეძახის, რომელიც მთავრობამ შეთხზა.

## დამაკვირდი

სიტუაჲ უშვერი და ლაღობაჲ განიშორეთ პირისაგან თქუენისა, რომელმან საკიცხველ უყის და განაქიქის კაცი, ფარისეველთაებრ განბასრნის.

ნეტარი იპოლიტე

* * *

რომელი სიხარულით შეგიდეს გულსა კაცისასა, იგი უკეთესად დადგრების სულსა შინა.

წმ. ეფთვიმე

* * *

გონიერება ყველაზე მაღლა დგას, გარნა იგი იშვიათად იჩენს თავს.

ფარსადან გორგიჯანიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად აღმოაჩინეს აკლდამა ეგვიპტეს ფარაონის ამენოფის II-სა, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 1500 წლის წინად მეფობდა. აკლდამაში ჩასასვლელი კიბე 26 ადლის სიმაღლეა. ერთს გამოქვაბულში ჰნახეს მშვენივრად შეღებილი ნავი, რომელშიაც განისვენებდა გვამი ხელ-ფეხ შეკრულის კაცისა. მეორე გამოქვაბულში ჰნახეს გვამი კიდევ ერთის კაცისა, დედაკაცისა და ყმაწვილისა. ოთხივე გვამი გაუხრწნელად შენახულა ჰაერის მეტის-მეტ სიმშრალისაგან. მეფის აკლდამა მეტად დიდი და მშვენიერია. კედლები შემკულია საუცხოვო მხატვრობით. ყველაფერი მშვენივრად არის შენახული ამ აკლდამაში, ყვავილების გვირგვინებიც-კი. მეცნიერნი ჰფიქრობენ, რომ ამ აკლდამაში ბევრს საყურადღებო რასმეს აღმოაჩენენ. სხვათა შორის, იმედი აქვთ შეიტყონ, სწირავდნენ თუ არა მსხვერპლად განსვენებულის მეფის დასაფლავების დროს ზოგიერთს იმის ქვეშევრდომს. ეს საგანი მეცნიერებას აქამდე ჯერ ვერ გამოუკვლევია.

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც სამხრეთ აფრიკის პორტუგალიის ერთს ადგილას მთელი ქალაქი დაარსდა, სახელად ბეირა. ამ ქალაქში ყველა სახლები ცინკისაგან არის გაკეთებული. ამ ადგილს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ 6 თვეში ქალაქი გაშენდა. საზოგადო დაწესებულებათა შენობები, სასტუმროები, ყაზარმები, მაღაზიები და სახლები ყველა ცინკისაგან არის აშენებული. ცინკი მოჰქონდათ აქ შენობებისათვის საფრანგეთიდგან, ინგლისიდგან და ამერიკიდგან. მთელს ქალაქში ცინკია მიღებული ხმარებაში. ავად გახდება კაცი და ცინკის საკაცით წაიღებენ სამკურნალოში, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ცინკისაგან არის აშენებული, მოკვდება და ცინკის კუბოში ჩააწვენენ და ისე დამარხავენ.

* * *

ჰოლანდიის მეცნიერს, პროფესსორს კაპტეინს გამოუანგარიშებია, რომ მზე, დედამიწა და მათ მეზობლად მყოფი პლანეტები საშინელის სისწრაფით მიდიან ჩრდილო-სამხრეთისაკენ. ვარსკვლავს, რომელსაც დედამიწა საათში 60.000.000 ადლის სისწრაფით უახლოვდება, სახელად ვეგა ეწოდება. ეს ვარსკვლავი ერთი ათასად უფრო დიდია და ნათელია მზეზე, ყოველ წლის თავს დედამიწა ამ ვარსკვლავს 120 მილიონ მილის მანძილზე უახლოვდება.

* * *

სწავლა-განათლება ამ ჟამად იმდენად არის გავრცელებული, რომ სამხრეთ ამერიკის მიყრუებულ ქვეყნებსაც-კი მიაღწია. აქ მცხოვრებმა ინდიელებმა უკვე იციან, რა არის ტელეფონი, ტელეგრაფი და ფონოგრაფი. ყველაზედ ძლიერ მოეწონათ ფონოგრაფი, როდესაც პირველად ჰნახეს: ასე ეგონათ ფონოგრაფით თვით დიდებული სული გველაპარაკებაო. სხვათა შორის ფონოგრაფი გამოსადეგია ეხლა სხვა და სხვა ენების შესასწავლად. ფონოგრაფის შემწეობით მეცნიერებს შეუძლიანთ ჩაიწერონ ხოლმე სხვა და სხვა ხალხის ლაპარაკი, სხვათა შორის ფონოგრაფის შემწეობით გამოიკვლიეს, რომ სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის მცხოვრებთ ჩვეულებათა აქვთ სიმღერისა ან შესანიშნავ დროს რამდენჯერმე განმეორება ერთისა და იმავე სიტყვისა. მაგალითად

როდესაც აქაური კაცი საომრად იწვევს სხვებს, ასე კი არ ამბობს „იარაღს ხელი მოვკიდოთ და საომრად წავიდეთო“, არამედ ასე ამბობენ: „იარაღს, იარაღს, იარაღს ხელი მოვკიდოთ და წავიდეთ საომრად, საომრად, საომრად“. მეცნიერების აზრით, ამ სიტყვების განმეორებაში იხატება პირველი ნიშანი პოეზიისა.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: 6)

ხელნაწერი წიგნი № 68 (infolio, ფურცელი 123) არის საყოველთაო ისტორია, შედგენილი ღელიმერ კურას მიერ, თარგმნილი ალექსანდრე ამილახვაროვისაგან ქართულად და გადაწერილი „ზაქარია გიორგის ძის შალიკოვის ტფილელის“ მიერ.

წიგნს ბოლოში აქვს შენიშვნა ალ. ამილახვაროვისა: „ეს წიგნი შავად და გაუმართავად არის გადაწერილი, არა დია სასმინოდ, ნუ გამიწყრებით“ მერე ხვეულად: „ალექსანდრე“.

ისტორია იწყება ქვეყნის შექმნიდგან და თავდება მე-XVII საუკუნით.

შინაარსი:

შემოყვანება ისტორიისა, რომელ არს ამბავი. (1—8), მეფეთათვის იუდიანთა (8—10), სამთავროთათვის ასურეთისათა (10—12), სამთავროსათვის სპარსეთისა (12—14), სამთავროთათვის ბერძენთა (14—18), სამთავროთათვის რომისა (18—28), მეფეთათვის გინ კეისართა ბერძენთასა განყოფისა უკან სამთავროსა (28—32), დასავლეთისათვის სახელმწიფოთა (32—37), კეისართათვის საქსონელთა სახლისა (37—39), კეისართათვის ჰრაკელ‹ი›ა სახლისა (39—41), კეისარნი შვაბელთა სახლისა (41—44), კეისარნი სხვათა და სხვათა სახლისაგან (44—50), კეისარნი ავსტრიელთა სახლისა (50—75), მეორისათვის ბრძოლისა ფრანცუზთასა ზედა ლეოპოლდს (75—98), შეძინება ამბავისა აღმოსავლეთისა სახელმწიფოსა (98—108), ვინ არს აწ ევროპას შინა მპყრობელი ხელმწიფე (108—110), შემოკლებულად მოთხრობა რუსეთისათვის (110—123).

წიგნი არის სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს მოკლე-მოკლე ცნობებს შესახებ შესანიშნავ სახელმწიფოებისა. აქ უფრო ვრცლად მოთხრობილია ოსმალთა ხონთქრების ამბავი, ამ ტომმოდგმის გამოჩენა, გაძლიერება, გადიდება, მათ მიერ დაპყრობა მცირე აზიისა, ადრიანოპოლისა, კონსტანტინეპოლისა, ათინისა, როდოსისა, კრიტისა (აწ კრიტი), გარემოცვა ვენის ქალაქისა და სხ. და სხ. ეს ოსმალთა ისტორია ღელიმერ კურასი მხოლოდ იმითი განირჩევა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შედგენილისაგან (იხ. წიგნაკი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“), რომ აქ უფრო მეტი ცნობებია, ვიდრე მეორეში.

კონსტანტინეპოლი რომ აიღო სულთან მურად II-მ (1453 წ.), თურქთ მისცა ნება ეძარცვათ ქალაქი. ეს ძარცვა სამს დღეს არ შეწყვეტილა. იშოვეს 12 მილიონის საშოვარი, 40,000 კაცი გაჟლიტეს და 60,000-იც გადაასახლეს სხვა ადგილებში, სადაც მცხოვრებნი ოსმალნი იყვნენო.

თემურლენგმა რომ სულთანი ბაიაზით შეიპყრო, ჰკითხაო, შენ რას მიზამდი, რომ დაგეტყვევებინეო. მან მიუგო: „განუსინჯველად ჩაგსვამდი ყაფაზაში, ჩემთან გატარებდი სანახავადაო“. მაშინ თემურლენგმა ჩასო იგი ყაფაზაში და „ოდესცა შეჯდის ცხენს ზედა, მაშინ შედგებოდა ზურგთა მისთა (ბაიაზეთისა) და ყამთა სადილსასა სტოლთა ქვეშე მაღლთა თანა აჭმევდა და სხ.“

ამ წიგნის მთარგმნელი ალექსანდრე ამილახვაროვი ეკუთვნოდა იმ მოწინააღმდეგე დასს, რომელსაც სურდა ტახტიდგან ჩამოეგდო ერეკლე მეორე და მეფობა დაებრუნებინა ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეთათვის.

მ. ჯანაშვილი

## გამოსადეგი ცნობა

მრავალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თაფლი საუკეთესო საშუალებაა ხუნაგის შეყრის ასაცდენად. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეგრედ წოდებული ჭიანჭველის სიმჟავე, რომელიც თაფლში მოიპოვება, ჰხოცავს ხუნაგის ბაცილებსაო. ამიტომ კარგი იქმნება, რომ ხუნაგის გავრცელების დროს ბავშვებმა ყოველ დღე თაფლი სჭამონ.

„П. и Л.“

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ გიორგი გრიგორის ძე ცინცაძეს, რომელმაც შეჰკრიბა ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ქ. ქუთაისში 35 მან. და 20 კ. ფულად და 81 ცალი წიგნი, ღირებული 15 მან. და 84 კაპ. და აგრეთვე იმათ, ვინც სამკითხველოს სასარგებლოდ შემწეობა აღმოგვიჩინა.

სია შემომწირველთა: ქ-ნი მარიამ ზაქარიას ასული ფეიქრიშვილისა—3 მან., ბ-ნი სტეფანე პავლეს ძე ფეიქრიშვილი—5 მან., ედუარდ ზაქარ. საკაშვილი, სილიბისტრო ჩიქოვანი და გიორგი ცინცაძე—თითო მანეთი, ვინმე მეგრელი, პეტრე გორელი, პავლე ფალაშიშვილი, ნოე ვანელი, კონსტან. აკოფოვი, სტეფ. ფასიკოვი, გირ. მანგალაძე, სტეფ. ფალაშოვი, უცნობი, ლევ. ასათიანი, სამს. ვანიძე, ილარ. მოწონელიძე, კონსტ. აროზელაძე, ფილ. ჭელიძე, ილარ. თალაკვაძე, ნიკო ნებიერიშვილი, ნესტ. ზვიადაძე, ანტ. ქომეთიანი, ვარდ. ჩხაიძე, კონსტ. ჩემია, ლაზარე...., ალექსანდრე შარაშიძე, მიხ. კვირკველაძე, კონსტ. კობახიძე, გაბრ. არჯევანიძე, კონსტ. ცაგარელი და ალექ. წერეთელი—ათ-ათი შაური; მიხ. ხუჭუა, სიმ. გუგუშვილი, გრიგ. დგებუაძე, ბეჟ. ასათიანი, თეოფ. ლორია, ილ. ჩხეიძე, მაქ. ზვიადაძე ტრიფ. მესხი, გრიგ. დარახველიძე, ვარდ. ბახტაძე, პავ. ქაცარავა, ბეს. ახვლედიანი, სამ. გეგეჭკორი, იოს. გიორგაძე, ნესტ. დავითაია და ქიშ. ხუნდაძე—ორ-ორი აბაზი; სავ. წერეთელი, სტ. შაინოვი, ვარ. გაბუნია და ვანო კაპკაპოვი—ე ვს-ექვსი შაური; სოფ. ლოლუა, ვინმე ვასლი, ვლად. რუხაძე, დავ. ყუფარაძე, სარდ. ჭურაძე, არჩ. ხმალაძე, ილ. ბეჟანეიშვილი, ნიკ. ახობაძე, აქვს. ბერუჩაშვილი, მაქსიმ. მანაგაძე, გიორ. ლეჟავა, მან. მირიჯანაშვილი, ვიღაცა, ვანო...., ივლ. ხორავა და კონსტ. ჯაში—თითო აბაზი; მიტრ. ლადიძე—36 ცალი წიგნი, ღირებული 5 მ. და 68 კ., მიტრ. ბარკალაია—10 ც. წ.—1 მ. და 50 კ., სიმ. ლორია 3 ც. წ.—1 მ. და 55 კ., ილ. მირ. ჭყონია 4 ც. წ—50 კ., ივლ. ხეთერელი 6 ც. წ—80 კ., ვანო არდიშვილი—5 ც. წ.—2 მ. და 30 კ., ბეს. ზვიადაძე 6 ც. წ.—70 კ., ფრან. ეხრანოვი 4 ც. წ.—30 კ., გაბრ. გოზალაშვილი 2 ც. წ.—80 კ., ვას. ვანიძე 1 ც. წ.—10 კ., ბართ. კალაძე 1—წ. 5 კ., გრ. გაბუნია 1 წ.—25 კ., გრიგ. ნოსაკიძე 1 წ.—15 კ. და გიორგი ცინცაძე 5 ც. წ.—1 მ. და 16 კ.

ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს კომიტეტის წევრნი: გრ. ქუთათელაძე კონსტ. მგელაძე

## სახელოსნო გამგეობის საყურადღებოდ.

ამ რამდენისამე კვირის წინად ვიყავით მიწვეულნი სახელოსნო გამგეობაში ავლაბრისა და ნავთლუხის ფეხსაცმელების მკერვალნი. დადგა დრო საქმის განხილვისა. გამოგვიცხადა ბ-ნმა ხელოსანთა მოურავმა და გამგეობის წევრებმა: ახლად დუქანი, ანუ ქარხანა ვისაც გაგიმართავთ, უნდა წარმოადგინოთ სამი მანათი და მანათიც „სტოლის“ ფულიო. ამას გარდა, დაულოცავებმა ნოემბრამდის თხუთმეტ-თხუთმეტი მანათი უნდა წარმოადგინოთო. ვისაც ერთად შემოტანის შეძლება არა აქვს, იმას შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც წარმოადგინოს და ნოემბრამდის რაკი შეავსებთ ამ ფულს, ყველას დაგლოცავთო. ჩემის აზრით ემჯობინებოდა, რომ ჯერ გამოეცადნათ ხელოსნები და ისე მიეცათ ხოლმე ნება სახელოსნოს გამართვისა ან დალოცვისა. თუ არა-და, რას ემსგავსება, რომ ხელობა კი არ იცოდეს და სამი, ან ოთხის მანათის გარდახდით გამგეობამ ნება მისცეს „საფინაჩოს“ გამართვისა. თუკი გამგეობაში ტერძს ქალებს გამოსცდიან ხოლმე, რატომ ფეხსაცმელების მკერვალები-კი არ უნდა გამოსცადონ. იმედია, ახლად ამორჩეული ხელოსანთა მოურავი ბ-ნი წ—ობ მ—ევი ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და არ დასტოვებს „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

ალ. მ—ქ—ნი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ივლისი

**ბაქო.** ცეცხლი წაეკიდა ვეინერისა და ძმ. გუბინების ხე-ტყის საწყობებს. ზარალი დიდია. შენობები დაზღვეულია. ცეცხლი ჯერაც არ ჩაუქრიათ.

**ჰელსინგფორსი.** ხელმწიფე იმპერატორმა 7 ივლისს გამოცემულის მანიფესტით მიიწვია 1899 წლის 7 იანვრისათვის საგანგებო სეიმი, რათა მან განიხილოს ახალი კანონი, რომლითაც ფინლანდიაში სამხედრო ბეგარა უნდა იქმნას შემოღებული.

**მოსკოვი.** თოფხანის დათვალიერების დროს ბოლგარიის მთავრის და იმის მეუღლის ყურადღება მიიქცია ყველა ისტორიულმა და ხელოვნურად მომზადებულმა ნივთმა. დაჰყვეს რა იქ ერთი საათი, დიდებული სტუმრები წმ. ხარებისა ტაძარში წავიდნენ, სადაც მოვიდა ბატონიშვილი ბორისიც. მართმადიდებელი ბატონიშვილი ბორისი ნელის ნაბიჯით და დაფიქრებულის სახით მიდიოდა და თავის მოძღვარ არქიმანდრიტ ვასილთან ერთად როდესაც ეკკლესიაში შევიდა, შედგა და პირ ჯვარი დაიწერა. შემდეგ ემთხვია ყაზანის ღვთის მშობლის ხატს. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ, მათი უმაღლესობანი არხანგელსკის ტაძარში შევიდნენ. ტაძარში ბორისმა თაყვანი სცა ბატონიშვილის დიმიტრის ნაწილებს და ინახულა მეფის იოანე ვასილის ძის კუბო. ეკკლესიიდგან გამოსვლისას მთავარმა ფერდინანდმა და ბორისმა, პირჯვარი დაიწერეს, რამაც ძალიან ასიამოვნა იქ დამსწრენი. დაათვალიერეს რა შემდეგ მიძინების ტაძარი, მთავარი, იმის მეუღლე და ბატ. ბორისი ეტლით წავიდნენ მაცხოვრის ეკკლესიაში, რომელიც აგრეთვე დაათვალიერეს. წასვლის დროს ბატონიშვილი ბორისი მივიდა სობოროს მამა კანდელაკთან, კურთხევა მოსთხოვა და ხელზედ ემთხვია. ბატონიშვილის უავგუსტოესი მშობლებიც გამოთხოვების დროს ხელზედ ემთხვივნენ მამა-კანდელაკს. ტაძრიდგან დიდებული სტუმრები წავიდნენ ივერიის ღვთის მშობლის ნიშში, სადაც აუარებელი ხალხი იდგა. ნიშიდგან გამოსვლის დროს მთავარი, მთავრის მეუღლე და ბატონიშვილი ბორისი პირჯვარს იწერდნენ. აქედგან მათი უმაღლესობანი კრემლში დაბრუნდნენ. საღამოს 7 საათზედ მთავარმა, მეუღლისა და ამალითურთ დაათვალიერა იმპერატორის ალექსანდრე II-ის ძეგლი, რომელიც ეხლა კეთდება. შემდეგ მთავარი, იმის მეუღლე და ბატონიშვილი მოვიდნენ გენერალ-გუბერნატორის სახლში, სადაც გამართულ იქმნა საგვარეულო სადილი. სადილის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი სადგურზედ წავიდნენ. მათ გაჰყვნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული. ცოტა ადრე სადგურზედ მოვიდა ბატონიშვილი ბორისი. დიდებული სტუმრები გააცილეს: სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთ, თავად-აზნაურობის წინამძღოლებმა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. მათმა იმპერატორობითი უმაღლესობამ შეიყვანა სტუმრები ვაგონში და გამოემშვიდობნენ. 10 საათსა და 45 წუთზედ საიმპერატორო მატარებელი წავიდა.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქუჩების გაწმენდა-გასუფთავების სავალდებულო დადგენილებათა მე-3 § ის შენიშვნის თანახმად **მიმოსვლა დღისით** იმ ეტლებისა, რომელთაც ბოჭკებით უნდა წაიღონ და გადაჰყარონ ხოლმე ყოველგვარი უწმინდურება, აღკრძალულია შემდეგს ქუჩებზედ: გოლოვინსკისა, სასახლისა, მიხეილისა, ბარიათინსკისა, ერევნის მოედანსა, შუა-ბაზარსა და სიონის ქუჩაზედ მოედნამდის.

(3—6.—1)

## ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—6.—9)



დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის,** ძვირად ღირებული მცოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან,—დახურული **ანკერი,** მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე,** ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილიამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავსზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

## მხოლოდ 10 და 12 მან.

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

## შ. გეილერის

## საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან.

(10—მ.—10)


Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Іюля. 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.